მოწვევა სოციალური მეწარმეობის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

2020 წლის თებერვალი

ევროპის ფონდი იწვევს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სოციალური მეწარმეობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

კონკურსის მიზანი

საგრანტო კონკურსის მიზანია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით, მხარი დაუჭიროს ახალი სოციალური საწარმოების ჩამოყალიბებას და არსებული სოციალური საწარმოების განვითარებას.

ევროპის ფონდის შესახებ

ევროპის ფონდის მისიაა, პრაქტიკული პროგრამების განხორციელებით, საშუალება მისცეს მოქალაქეებს, წვლილი შეიტანონ სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებასა და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდაში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერის და საგრანტო კონკურსების გზით, ევროპის ფონდი მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებში მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს, რაც ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე პოზიტიურ ცვლილებს უწყობს ხელს.

ფონდის მანდატები და მიდგომები ისეთ მიმართულებებს მოიცავს, როგორიცაა: სამოქალაქო მონიტორინგი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირება და საჯარო პოლიტიკის შემუშავება, საზღვრისპირა და თემთაშორისი თანამშრომლობა, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდების ინტეგრაცია, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა. ევროპის ფონდი შემდეგ პროგრამებს ახორციელებს: თანამონაწილეობა და მონიტორინგი ცვლილებებისთვის, ახალგაზრდული ინტეგრაცია, ევროპული ინტეგრაცია, სოციალური მეწარმეობის განვითარება და ღია კარის საგრანტო პროგრამა.

ევროპის ფონდი 2008 წლის თებერვალიდან ფუნქციონირებს, როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. ევროპის ფონდი ევრაზიის ფონდის ქსელის წევრია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიაში, რუსეთში, ცენტრალურ აზიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ თერთმეტ დამოუკიდებელ ორგანიზაციას აერთიანებს.

სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა გულისხმობს სოციალური მიზნების მიღწევას შემოსავლის მომტანი საქმიანობის განხორციელების გზით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური საწარმო არის ბიზნესის პრინციპებით მოქმედი ორგანიზაცია, რომელსაც აქვს გამოკვეთილი სოციალური მიზანი და მიმართულია

გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებასა ან/და საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სოციალური საწარმოს იდეა, სასურველია, ქვემოთ-ჩამოთვლილი ბიზნესმოდელებიდან ერთ-ერთით ხელმძღვანელობდეს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მოცემული ბიზნესმოდელები არ არის ურთიერთგამომრიცხავი.

1. *მოწყვლადი ჯგუფის დასაქმების მოდელი* - საწარმო, რომელიც ასაქმებს მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლებს (მაგ. იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, სოციალურად დაუცველი ქალები და ა.შ.);
2. *დაბალშემოსავლიანი მომხმარებლის მოდელი* - საწარმო, რომელიც დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლისთვის ქმნის ხელმისაწვდომ პროდუქტს ან მომსახურებას;
3. *სერვისების მიწოდების მოდელი* - საწარმო, რომელიც სოციალურ ან სხვა ტიპის მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს;
4. *საბაზრო კავშირების მოდელი* - საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს მისი სამიზნე ჯგუფის, მათ შორის მცირე მეწარმეების, ადგილობრივი ოსტატების/ფერმერების, მცირე ზომის ფერმებისა და კოოპერატივების პროდუქციის რეალიზაციას ქვეყნის მასშტაბით გასაღების ბაზარზე;
5. *სოციალური ინოვაციის მოდელი* - საწარმო ან ინიციატივა, რომლის მიზანია სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად ინოვაციური მექანიზმების/გადაწყვეტილების მოძიება, რომელიც არსებულ, დაბალეფექტურ სისტემას შეცვლის. ამგვარ ტრანსფორმაციულ სოციალურ ინოვაციას არამარტო შემოაქვს ახალი, ეფექტური მიდგომები, არამედ წარმატებულია იმ სოციალური ინსტიტუტების შეცვლაში, რამაც თავდაპირველად პრობლემა შექმნა.

დაფინანსება

სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებით ან არსებული სოციალური საწარმოს გაუმჯობესებით დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტის საერთო ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25,000 ლარს.

შერჩევის პროცესი

I ეტაპი - განაცხადების წარდგენა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:

ა) სოციალური საწარმოს შექმნით დაინტერესებულ, საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

ბ) არსებული სოციალური საწარმოს განვითარებით დაინტერესებულ, საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც პროექტების განხორციელების მინიმუმ ორწლიანი გამოცდილება აქვთ.

კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი უნდა მოიაზრებდეს სოციალური საწარმოს მიერ გამომუშავებული მოგების რეინვესტირებას მისი სოციალურ მისიის განსახორციელებლად. საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი სოციალური საწარმოს პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ერთს:

1. სოციალური საწარმო უნდა ასაქმებდეს მოწყვლადი ჯგუფის წევრებს (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, იძულებით გადაადგილებული პირები და ა.შ.).
2. საწარმო უნდა ქმნიდეს პროდუქტს ან მომსახურებას, რომელიც სოციალური პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული.
3. პროექტში უნდა ჩანდეს სოციალური საწარმოს მხრიდან მზაობა ითანამშრომლოს ადგილობრივ/ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

II ეტაპი - ტრენინგი და ბიზნესგეგმის წარდგენა

I ეტაპის შედეგად შერჩეული ორგანიზაციები გაივლიან ტრენინგს ბიზნესგეგმის შედგენაში, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს მეტი გაიგონ სოციალური მეწარმეობის პრინციპებსა და წარმატებულ მაგალითებზე, კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი სოციალური საწარმოსთვის შერჩეული ბიზნესმოდელი და მოამზადონ ბიზნესგეგმა. ტრენინგის გავლის შემდეგ, მეორე ეტაპზე გადასული ორგანიზაციები სრულ ბიზნესგეგმას წარმოადგენენ, რომელსაც დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭო განიხილავს.

შერჩევის კრიტერიუმები

I ეტაპი

საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად ევროპის ფონდი და ექსპერტთა საბჭო შემდეგი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებენ:

1. პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან;
2. განმცხადებელი ორგანიზაციისა და პროექტის განმახორციელებელი გუნდის შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია;
3. ორგანიზაციის პოტენციალი განახორციელოს საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი მისიის მისაღწევად;
4. კომერციულად ეფექტური და განხორციელებადი ბიზნესმოდელის არსებობა;

5. სოციალური მეწარმეობის სფეროში საქმიანობის გამოცდილება (ეს პუნქტი ეხება მხოლოდ იმ განაცხადებს, რომლებიც არსებული სოციალური საწარმოს გაუმჯობესებას ითვალისწინებს)

II ეტაპი

პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ძირითად კრიტერიუმს განმცხადებელი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ბიზნესგეგმის განხორციელებადობა წარმოადგენს. განმცხადებელი ორგანიზაციები ბიზნესგეგმას ტრენინგის გავლის შემდეგ, ევროპის ფონდის პარტნიორებისა და კონსულტანტების ტექნიკური მხარდაჭერით შეიმუშავებენ.

შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველსაყოფად, საპროექტო წინადადებებს ევროპის ფონდის მიერ მოწვეული დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭო განიხილავს. გრანტის გაცემის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ფონდი მიიღებს. ფონდი უფლებას იტოვებს, არ შეარჩიოს არც ერთი განაცხადი იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ ვერ დააკმაყოფილებს შერჩევის კრიტერიუმებს. განხილვის პროცესში, შესაძლოა, ფონდმა განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს.

განაცხადის წარდგენის პროცედურები

განმცხადებლებმა ევროპის ფონდში საპროექტო განაცხადი უნდა წარადგინონ არაუგვიანეს **2020 წლის 2 მარტის 17:00 საათისა,** ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: lberdzuli@epfound.ge (გთხოვთ, წერილის სათაურის ველში მიუთითოთ: SE Grant Competition).

საკონტაქტო ინფორმაცია

ევროპის ფონდის მისამართია: კავსაძის ქ. 3, თბილისი, 0179, საქართველო. ტელეფონი/ფაქსი: 225 39 42; 225 39 43; 225 27 82. საკონტაქტო პირი: ნანა გამყრელიძე, პროგრამის მენეჯერი ngamkrelidze@epfound.ge. კონკრეტულად, განმცხადებლებმა ფონდს შემდეგი დოკუმენტები უნდა წარუდგინონ:

- პროექტის განაცხადი ქართულ ან ინგლისურ ენაზე (ორგანიზაციის ბლანკით ან ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით დამოწმებული);
- განმცხადებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა და შედარების აქტი შემოსავლების სამსახურიდან.

კონკურსში წარმოდგენილი პროექტები მხოლოდ განმცხადებელი ორგანიზაციის ნამუშევარს უნდა ასახავდეს. პლაგიატს შედეგად მოჰყვება კონკურსიდან ორგანიზაციისა და პროექტის დაუყოვნებელი დისკვალიფიკაცია. კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა მასალა და დოკუმენტი ევროპის ფონდის განკარგულებაში რჩება. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას ფონდი მხოლოდ განხილვის მიზნით გამოიყენებს და არ გაუზიარებს

გარეშე პირებს ან ორგანიზაციებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ან ევროპის ფონდის დამფინანსებლების მოთხოვნის შესაბამისად განსაზღვრული შემთხვევებისა.

კონკურსის განრიგი

კონკურსის გამოცხადება: 2020 წლის 11 თებერვალი
ღია კარის დღე ევროპის ფონდის ოფისში: 2020 წლის 19 თებერვალი 11:00 სთ.
განაცხადების წარდგენის ვადა: 2020 წლის 2 მარტი, არაუგვიანეს 17:00 საათისა